ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4861424

ნომერი: AR1733250

თარიღი : 12.02.2020

გაცემის თარიღი : 14.02.2020

გაცნობის თარიღი : 19.02.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბარათაშვილის ხიდის ქვეშ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან სულიაური პ/ნ 35001081405
- თბილისი ო.კელაპტრიშვილის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე სრულყოფილად მსჯელობის შესაძლებლობა და სამუშაოების კლასის განსაზღვრა წარმოდგენილი იქნას დეტალური განმარტება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. შესაბამისად იქნას არჩეული ნომენკლატურა. (სარეკლამო აბრები, საჩრდილობელი, ფასადის მოპირკეთება და ა.შ).
- დაზუსტდეს სამუშაოები ეხება თუ არა ხიდს ან მის ნაწილს, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა.
- წარმოდგენილი იქნას სქემატური არსებული და საპროექტო გეგმა, ჭრილი, სარეკონსტრუქციო კედლების, საპროექტო ელემენტების, საკადასტრო საზღვრისა და ტროტუარის ჩვენებით.
- წარმოდგენილი იქნას სქემატური გენგეგმა საკადასტრო საზღვრებისა და საპროექტო ელემენტების ჩვენებით. (თუ საზ. სივრცეში ხდება რაიმე ელემენტის განთავსება წარმოდგენილი უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა; საზოგადოებრივ სივრცეში ელემენტების შეჭრასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების, 33-ე მუხლის მოთხოვნები)
- სარეკლამო წარწერის განთავსებისას დაცული იქნას რეკლამისა და სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონები.

განგიმარტავთ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის, მე-4 მუხლის, 2', 3 და 4 პუნქტების მიხედვით: 2'. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას. 3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. 4. ასევე ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი. ამასთან სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის, 25-ე მუხლის , მე-3 პუნქტის მიხედვით: ,,ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით)''

- განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება. წარმოსადგენია შპს „ნაით ოფისის“ მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა. ასევე წარმოსადგენია ამონაწერში ყადაღის საფუძვლად დაფიქსირებული დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ შემოსავლების სამსახურის თანხმობით.
- გაითვალისწინეთ, რომ დოკუმენტაციიდან უნდა ამოიღეთ დეკორატიული საყვავილეების მოწყობა, ვინაიდან სამსახურის სანებართვო საგანს არ წარმოადგენს.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge